



# ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-93.93213091

თარიღი:05/11/2021

## ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

### მუხლი 1

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს 2011 წლის 12 სექტემბერს შპს „Fin-estate“-სთან /საიდენტიფიკაციო კოდი-401959136/ გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის 10 (ათი) წლით გაგრძელების შესახებ.

### მუხლი 2

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ 54.11.52.123) წლიურ საიჯარო ქირად განისაზღვროს -7478 /შვიდი ათას ოთხას სამოცდათვრამეტი / ლარი.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის- (ს/კ54.11.52.033) წლიურ საიჯარო ქირად განისაზღვროს - 5413 / ხუთი ათას ოთხას ცამეტი/ლარი.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის -(ს/კ54.11.52.032) წლიურ საიჯარო ქირად განისაზღვროს - 3257/ სამი ათას ორას ორმოცდაჩვიდმეტი/ლარი.

### მუხლი 3

განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

### მუხლი 4

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

კარლო ჯამბურია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

